



USAID
ამერიკელი ხალხისგან



საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

თავისუფალი, სამართლიანი და
თანასწორი საარჩევნო-პოლიტიკური
ციკლი 2019-2022 წლებში

საინფორმაციო ბიულეტენი №26
ნოემბერი, 2021

თბილისი, 2021

ხელმძღვანელი:

ვახუშტი მენაბდე

ავტორი:

ნანუკა ყრუაშვილი

საინფორმაციო ბიულეტენის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ბიულეტენის შინაარსზე პასუხისმგებელია „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ (საია). ის შესაძლოა არ ასახავდეს USAID-ის ან აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.



USAID
ამერიკელი ხალხისგან

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (საია) 2019 წლის აგვისტოდან მთელი ქვეყნის მასშტაბით დაიწყო პროექტის - „თავისუფალი, სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო პოლიტიკური ციკლი 2019-2022 წლებში“ იმპლემენტაცია. პროექტის ერთ-ერთი მიზანია საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა მონიტორინგისა და მტკიცებულებაზე დაფუძნებული ადვოკატირების გზით. ამის მისაღწევად ორგანიზაცია დააკვირდება მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებსაც გააცნობს საზოგადოებას და წარუდგენს გადაწყვეტილების მიმღებ პირებს. ამჟამად წარმოგიდგინთ №26 ბიულეტენს, სადაც აღწერილია ნოემბერში განვითარებული ის მოვლენები, რომლებმაც გავლენა მოახდინა პოლიტიკურ გარემოზე.

2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტური

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტური 13 ნოემბერს შეაჯამა, რის მიხედვითაც, მმართველი პარტია უპირატესობით სარგებლობდა.¹ რამდენიმე ოპოზიციურმა პარტიამ, კერძოდ, „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“, „ლელომ“, „ევროპულმა საქართველომ“, „გირჩი - მეტი თავისუფლებამ“ და „დროამ“ არჩევნების შედეგები არ ცნეს და ის „გაუქმებულად“ გამოაცხადეს.² „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერმა ნიკა მელიამ „გაყალბებული არჩევნების“ გასაპროტესტებლად ოპოზიციის აქციები დააანონსა.³ მისი თქმით, მმართველმა პარტიამ ძალადობით, შანტაჟითა და მუქარით შეძლო არჩევნების გაყალბება.⁴ მეორე ტურის შემდეგ ყოფილმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა თავის მხარდამჭერებს „ქართული ოცნებისთვის“ ხელისუფლების წართმევისკენ მოუწოდა.⁵

1-ლ ნოემბერს 17-მა არასამთავრობო ორგანიზაციამ⁶ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებით ერთობლივი განცხადება გაავრცელა.⁷ მასში აღნიშნულია, რომ წინასაარჩევნო პერიოდში, არჩევნების დღეს და ხმების დათვლისას გამოვლენილი დარღვევები ნეგატიურადაისახაამომრჩევლისნებისგამოვლენაზე, აგრეთვე, საარჩევნო პროცესსადაშედეგების მიმართ საზოგადოების ნდობაზე.⁸ ორგანიზაციების აზრით, კვლავ აქტუალურ პრობლემებად

¹ „ცესკომ თბილისის მერისა და საკრებულოს არჩევნების მეორე ტურის შედეგები შეაჯამა“, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვებგვერდი, 2021 წლის 13 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3ytjByx>, განახლებულია: 16.12.2021.

² „ცესკომ 30 ოქტომბრის მეორე ტურები შეაჯამა“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 15 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/455176>, განახლებულია: 16.12.2021.

³ „ოპოზიციის არჩევნების შედეგებს არ ცნობს და შაბათს ფართომასშტაბიან აქციას გეგმავს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 1-ლი ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/452116>, განახლებულია: 16.12.2021.

⁴ იქვე.

⁵ „სააკაშვილი მხარდამჭერებს ქართული ოცნებისთვის „ხელისუფლების წართმევისკენ“ მოუწოდებს“, 2021 წლის 2 ნოემბერი, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/452353>, განახლებულია: 16.12.2021.

⁶ საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო; სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება - ISFED; ღია საზოგადოების ფონდი - OSGF; მედიის განვითარების ფონდი - MDF; ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი - EPRC; საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა - GDI; პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის - PHR; საფარი; საზოგადოება და ბანკები; სოციალური სამართლიანობის ცენტრი; საქართველოს რეფორმების ასოციაცია - GRASS; მწვანე ალტერნატივა; საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი; ადამიანის უფლებათა ცენტრი; ცენტრი ემპათია; საქართველოს გაეროს ასოციაცია; საქართველოს ატლანტიკური საბჭო; ევროპის ფონდი.

⁷ „არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლივი განცხადება მუნიციპალურ არჩევნებთან დაკავშირებით“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 1-ლი ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3oXU7Gb>, განახლებულია: 16.12.2021.

⁸ იქვე.

რჩებოდა ადმინისტრაციული რესურსის ბოროტად გამოყენება, პოლიტიკურად მოტივირებული გათავისუფლებები და ზენოლა-მუქარის ფაქტები.⁹ საარჩევნო პერიოდში გამოიკვეთა მმართველი პარტიის ამკარა ფინანსური უპირატესობა, რაც „სავარაუდო კორუფციული სქემების“ მეშვეობით გახდა შესაძლებელი.¹⁰ გარდა ამისა, ორგანიზაციების თქმით, დაბალი იყო საზოგადოების ნდობა სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ. ხელისუფლების ყველა შტო, განსაკუთრებით სასამართლო, პოლიტიკურ კონტროლს ექვემდებარებოდა, ხოლო მმართველი პარტია არ აპირებდა ძალაუფლების სხვა პარტიებთან გაზიარებას.¹¹ არასამთავრობო ორგანიზაციებმა ხელისუფლებას პოლიტიკის შეცვლისა და, საზოგადოების დაყოფის ნაცვლად, მისი გაერთიანებისკენ მოუწოდეს.¹²

3 ნოემბერს ოპოზიციურმა პარტიებმა „მოპარული“ არჩევნების გასაპროტესტებლად ბათუმში აქცია გამართეს.¹³ მსგავსი დემონსტრაციები ჩატარდა ზუგდიდსა¹⁴ და ქუთაისშიც.¹⁵ აქციების მონაწილეები „გაყალბებულ არჩევნებს“ აპროტესტებდნენ დამიხილსაა კამპილის გათავისუფლებას ითხოვდნენ. დემონსტრაციები გაიმართა რუსთავის ციხესთანაც, სადაც დაკავებული მესამე პრეზიდენტი იმყოფებოდა.¹⁶

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურთან დაკავშირებით ევროკავშირის ელჩმა კარლ ჰარცელმა განცხადება გაავრცელა.¹⁷ მან აღნიშნა, რომ არჩევნები კარგად იყო ადმინისტრირებული და, ძირითადად, კონკურენტულ გარემოში მიმდინარეობდა.¹⁸ მიუხედავად ამისა, პირველ ტურში გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის ნაცვლად, ახალი პრობლემები გამოიკვეთა, გამწვავდა ნეგატიური რიტორიკა, შენარჩუნდა ამომრჩეველთა დაშინებასა და ზენოლასთან დაკავშირებული ბრალდებები, აგრეთვე - რესურსებს შორის მკვეთრი დისბალანსი.¹⁹ ამგვარი არაკეთილსინდისიერი პრაქტიკის გამოუსწორებლობა, ელჩის აზრით, დაკარგული შესაძლებლობა იყო.²⁰ მსგავსი განცხადება გაავრცელა აშშ-ის საელჩომ საქართველოში. ის იზიარებდა ეუთო/ოდირის პოზიციას არჩევნების მშვიდ გარემოში ჩატარებასთან დაკავშირებით,²¹ თუმცა, იმავდროულად, მიუთითებდა დაშინებისა და ზენოლის ფაქტების სიხშირესა და უარყოფითი რიტორიკის გამწვავებაზე.²² გარდა ამისა, საელჩოს დამკვირვებლები რამდენიმე უბანზე შეესწრნენ მიკერძოებისა და ჩარევის შემთხვევებს.²³ განცხადების თანახმად, პირველ ტურში გამოვლენილი დარღვევების აღმოფხვრის ნაცვლად, ახალი ხარვეზები დაფიქსირდა, ხოლო ვითარება კიდევ უფრო დაამძიმა პოლარიზებული მედიის ქმედებებმა.²⁴ აშშ-ის საელჩომ საქართველოს მხარდაჭერა გამოუცხადა დემოკრატიული მიზნების მიღწევაში და აღნიშნა, რომ ამ მხრივ არაერთი საკითხი

⁹ იქვე.

¹⁰ იქვე.

¹¹ იქვე.

¹² იქვე.

¹³ „ოპოზიციის საპროტესტო აქცია ბათუმში“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 3 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/452669>, განახლებულია: 16.12.2021.

¹⁴ „ზუგდიდში შეკრებილებმა სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციასთან გადაინაცვლეს“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2021 წლის 4 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31544629.html>, განახლებულია: 16.12.2021.

¹⁵ „ქუთაისში ოპოზიციის საპროტესტო აქცია გაიმართა“, საინფორმაციო პორტალი „Ajara.tv“, 2021 წლის 4 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://ajaratv.ge/article/86044>, განახლებულია: 16.12.2021.

¹⁶ „ნაციონალური მოძრაობის ორგანიზებით დღეს ზუგდიდში აქცია გაიმართება“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 3 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3p0pa4l>, განახლებულია: 16.12.2021.

¹⁷ „ევროკავშირის ელჩმა მეორე ტურთან დაკავშირებით მკაცრი განცხადება გამოაქვეყნა“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 1-ლი ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/452080>, განახლებულია: 16.12.2021.

¹⁸ იქვე.

¹⁹ იქვე.

²⁰ იქვე.

²¹ „აშშ-ის საელჩოს განცხადება საქართველოს მუნიციპალური არჩევნების მეორე ტურთან დაკავშირებით“, აშშ-ის საელჩოს ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 1-ლი ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3lUrYYE>, განახლებულია: 16.12.2021.

²² იქვე.

²³ იქვე.

²⁴ იქვე.

სასწრაფო ცვლილებას საჭიროებდა.²⁵

3 ნოემბერს საქართველოს პრეზიდენტმა საზოგადოებას მშვიდ გარემოში ჩატარებული არჩევნები მიულოცა.²⁶ მან მეორე ტურში ოპოზიციის გაუმჯობესებული შედეგი ამომრჩევლის ნების თავისუფლად გამოვლენის შესაძლებლობას დაუკავშირა და აღნიშნა, რომ ეს დემოკრატიული არჩევნებისთვის დამახასიათებელი ასპექტი იყო.²⁷

დეპუტატებისთვის პარლამენტის მიერ სადეპუტატო უფლებამოსილების შეწყვეტა

16 ნოემბერს პარლამენტმა ოპოზიციონერ დეპუტატებს „გირჩი - მეტი თავისუფლების“ თავმჯდომარეს ზურა გირჩი ჯაფარიძეს და „ლელო - საქართველოსთვის“ ლიდერს მამუკა ხაზარაძეს, მათივე მოთხოვნის საფუძველზე, სადეპუტატო მანდატები შეუწყვიტა.²⁸ ზურა ჯაფარიძე უფლებამოსილების შეწყვეტას ივლისიდან ითხოვდა, მას შემდეგ, რაც „ქართულმა ოცნებამ“ 19 აპრილის შეთანხმება დატოვა.²⁹ მამუკა ხაზარაძემ კი ეს გადაწყვეტილება მეორე ტურის შემდეგ, არჩევნების გაყალბებასთან დაკავშირებით ჩატარებულ აქციაზე მიიღო.³⁰

საარჩევნო ბარიერთან დაკავშირებული საკონსტიტუციო ცვლილებები

2 ნოემბერს „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ ხელისუფლებას საკონსტიტუციო ცვლილებების მიღების ვალდებულება არ ჰქონდა.³¹ ის გულისხმობდა პარლამენტის მიერ 7 სექტემბერს პირველი მოსმენით მიღებული საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტს, რომელიც 5%-იანი საარჩევნო ბარიერის 2%-ით შეცვლას ითვალისწინებდა.³² საკონსტიტუციო ცვლილებების ეს პუნქტი შესული იყო ასევე 19 აპრილის ე.წ. შარლ მიშელის შეთანხმებაში, რომელიც „ქართულმა ოცნებამ“ ივლისში ანუღირებულად გამოაცხადა.³³ კობახიძემ არსებულ 5%-იან ბარიერს დემოკრატიული უწოდა და აღნიშნა, რომ ამ ნორმის დატოვებით ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას ზიანი არ მიადგებოდა, პირიქით, შესაძლოა, ეს უკეთესი ცოფილიყო.³⁴ გარდა ამისა, მმართველი პარტიის თავმჯდომარის თქმით, თუ რაიმე ცვლილება ამოქმედდებოდა ბარიერთან დაკავშირებით, ის მხოლოდ 2024 წლიდან შევიდოდა ძალაში, შესაბამისად, ეს რიგგარეშე არჩევნებს არ შეეხებოდა.³⁵ მმართველი პარტიის ერთ-ერთი ლიდერის შალვა პაპუაშვილის განცხადებით, „ქართულ ოცნებას“ საკონსტიტუციო ცვლილებების არანაირი ვალდებულება არ ჰქონდა, ვინაიდან ის შარლ მიშელის დოკუმენტის ხელმომწერი მხარე აღარ იყო

²⁵ იქვე.

²⁶ პრეზიდენტის განცხადება, საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 3 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.president.gov.ge/ka/News>, განახლებულია: 16.12.2021.

²⁷ იქვე.

²⁸ „ზურაბ გირჩი ჯაფარიძეს და მამუკა ხაზარაძეს პარლამენტის წევრის უფლებამოსილება შეუწყვიტა“, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 16 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3m8iPBV>, განახლებულია: 16.12.2021.

²⁹ „ზურაბ ჯაფარიძესა და მამუკა ხაზარაძეს სადეპუტატო უფლებამოსილება შეუწყვიტეს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 17 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/455777>, განახლებულია: 16.12.2021.

³⁰ იქვე.

³¹ „არავითარი ვალდებულება არ გვაქვს, რაიმე საკონსტიტუციო ცვლილება მივიღოთ“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 2 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/452497>, განახლებულია: 16.12.2021.

³² იქვე.

³³ იქვე.

³⁴ იქვე.

³⁵ „ირაკლი კობახიძე - თუ საკონსტიტუციო ცვლილებებს მივიღებთ, პროპორციული სისტემის შესახებ ჩანაწერი, ისე, როგორც ჩანაწერი ბარიერის კუთხით, უნდა ამოქმედდეს 2024 წლიდან“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 30 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/33AnZao>, განახლებულია: 16.12.2021.

და ეს გადანყვეტილება მხოლოდ პარტიის კეთილი ნება იქნებოდა.³⁶

ოპოზიციონერმა დეპუტატმა სალომე სამადაშვილმა აღნიშნა, რომ საქართველო ევროპისგან ასე შორს არასდროს ყოფილა.³⁷ მისივე თქმით, მმართველ პარტიაში უცნაური შეხედულება ჰქონდათ ევროპულ სტანდარტზე, ვინაიდან მიიჩნიეს, რომ ევროპისთვის შარლ მიშელის შეთანხმების „უკან მიგდება“ ევროპული საქციელი იყო.³⁸ პარტია „მოქალაქეების“ დეპუტატის ალექო ელისაშვილის აზრით, თუ ბარიერი არ შემცირდებოდა, პარლამენტში იქნებოდა მხოლოდ ორი პარტია, რაც პოლარიზაციას კიდევ უფრო გაზრდიდა.³⁹ „სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერმა გიორგი ვაშაძემ განაცხადა, რომ მმართველი პარტიის მიერ რიგგარეშე არჩევნებზე ბარიერის შეცვლის თავიდან აცილების მცდელობა შიშის დასტური იყო.⁴⁰ მისი თქმით, „ქართულ ოცნებას“ კარგად ჰქონდა გააზრებული, რომ შექმნილი მძიმე ვითარების ფონზე, დიდი ალბათობით, ვადამდელი არჩევნები გაიმართებოდა.⁴¹ პარტია „გირჩის“ ლიდერმა იაგო ხვიჩიამ აღნიშნა, რომ დაბალი ბარიერი მნიშვნელოვანი იყო ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისთვის.⁴² მან „ქართულ ოცნებას“ და „ნაციონალურ მოძრაობას“ ერთად მუშაობაში დასდო ბრალი და განაცხადა, რომ ისინი პატარა პარტიებს ებრძოდნენ.⁴³ საკონსტიტუციო ცვლილებების მნიშვნელობას ხაზი გაუსვეს ევროპარლამენტარებმა მარინა კალიურანდმა⁴⁴ და მაიკლ გალერიმ.⁴⁵ ამ უკანასკნელმა მიუთითა, რომ შექმნილ სიტუაციაზე პასუხისმგებელი არა მხოლოდ ხელისუფლება, არამედ ოპოზიციაც იყო.⁴⁶

მიხეილ სააკაშვილის საქმე

მიხეილ სააკაშვილის შიმშილობა და მისი სამოქალაქო საავადმყოფოში გადაყვანის მოთხოვნა

6 ნოემბერს სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა, მიხეილ სააკაშვილის შიმშილობის ფაქტის საწინააღმდეგოდ, მის მიერ საკვები დანამატების თხევადი თუ არათხევადი სახით მიღების

³⁶ „შალვა პაპუაშვილი - იმისთვის, რომ კონსტიტუციაში ცვლილებები მივიღოთ, საჭიროა, პარტიები თანამშრომლობდნენ, უნდა იყოს არა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა, არამედ თანამშრომლობა - ოპოზიციას ომი აქვს გამოცხადებული“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 30 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3saQTkP>, განახლებულია: 16.12.2021.

³⁷ „სალომე სამადაშვილი - კობახიძე მიაჩნია, რომ საპრობლემაში ჩადებული ყოფილი პრეზიდენტის თრევა და მიშელის ხელშეკრულების ევროპისთვის უკან მიგდება ევროპული საქციელია“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 30 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3pYkj2N>, განახლებულია: 16.12.2021.

³⁸ იქვე.

³⁹ „ალექო ელისაშვილი - თუ ბარიერი არ შემცირდა, სულ ორი პარტია იქნება და მივიღებთ იმ „ბასტი-ბუბუს“ და ზიზლის პინგ-პონგს, რაც ვვაქვს ახლა - „არა შენი 9 წელი, არა - შენი“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 30 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3yDaAD1>, განახლებულია: 16.12.2021.

⁴⁰ „გიორგი ვაშაძე - კობახიძე, ერთი მხრივ, ამბობს, 2024 წლამდე რიგგარეშე არჩევნები არ იქნება და, მეორე მხრივ, უნდა, რიგგარეშე არჩევნებთან დაკავშირებული ჩასწორებები შეიტანოს საკონსტიტუციო ცვლილებებში - ეს არის შიში“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 30 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3IWpOrk>, განახლებულია: 16.12.2021.

⁴¹ იქვე.

⁴² „იაგო ხვიჩია - არ მინდა „ქართული ოცნებისგან“ თავს დასაჩუქრებულად და ვალდებულად ვგრძნობდე, ამიტომ ვემზადებით იმისთვის, რომ როგორი ბარიერიც არ უნდა იყოს, გადავლახოთ“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 30 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/325iWHD>, განახლებულია: 16.12.2021.

⁴³ იქვე.

⁴⁴ „მარინა კალიურანდი - დიას, არჩევნებით საქართველომ დემოკრატიის ტესტი ჩააბარა, გადააბიჯა დემოკრატიულობის ზღურბლს, მაგრამ არის კითხვა, რამდენად გსურთ, მხოლოდ ზღურბლს გადააბიჯოთ“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 26 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3yvBEUE>, განახლებულია: 16.12.2021.

⁴⁵ „მაიკლ გალერი - ჩვენი მიზმართავთ არა მარტო ხელისუფლებას, არამედ ოპოზიციას, რომ ვითარებაზე პასუხისმგებელი ორივე მხარეა - მოვუწოდებ მათ, გამონახონ საერთო ენა“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3GIoTsE>, განახლებულია: 16.12.2021.

⁴⁶ იქვე.

ამსახველი ფოტო და ვიდეო მასალა საჯაროდ გაავრცელა.⁴⁷ მათი მტკიცებით, ეს გადანყვეტილება მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გამო მიიღეს.⁴⁸ ყოფილმა პრეზიდენტმა სახალხო დამცველის აპარატთან შეხვედრის დროს აღნიშნა, რომ მან საკვები დანამატი მხოლოდ ექიმების თხოვნით მიიღო.⁴⁹ 7 ნოემბერს სააკაშვილმა გავრცელებულ კადრებთან დაკავშირებით განცხადება გამოაქვეყნა და უარი თქვა ყველანაირი საკვები დანამატის მიღებაზე, რაზეც წერილობითი თანხმობა ჰქონდა მიცემული კონსილიუმისთვის.⁵⁰ მან ასევე აღნიშნა, რომ ის „კონსერვები“, რომლებიც ფოტოებზე იყო აღბეჭდილი, „თვალთ არ ჰქონდა ნანახი“.⁵¹ სააკაშვილის პირადი ექიმის განცხადებით, მესამე პრეზიდენტის მდგომარეობა დღითიდღე კრიტიკული ხდებოდა.⁵²

ოპოზიციონერი დეპუტატის სალომე სამადაშვილის აზრით, კადრების გამოქვეყნება სააკაშვილის უფლებების უხეში დარღვევა იყო.⁵³ მისი თქმით, უფრო ღრმა ჩიხური ვითარება შეიქმნა, ვინაიდან, შედეგად, ყოფილმა პრეზიდენტმა საკვები დანამატების მიღებაც შეწყვიტა.⁵⁴ პენიტენციური სამსახური ფოტო და ვიდეო მასალის გამოქვეყნებისთვის გააკრიტიკა სახალხო დამცველმაც.⁵⁵ მან აღნიშნა, რომ ეს ნაბიჯი ემსახურებოდა ხელისუფლების რიტორიკის გამყარებას, რომლის მიხედვითაც, სააკაშვილმა შიმშილობა შეწყვიტა.⁵⁶ ომბუდსმენის თქმით, სამედიცინო დანამატების მიღება შიმშილობის შეწყვეტაზე არ მიუთითებდა.⁵⁷ გარდა ამისა, მსგავსი მასალის გავრცელებას, შესაძლოა, გამოენვია პატიმრის მიერ ყველა სახის სითხისა და მედიკამენტის მიღებაზე უარის თქმა, რაც ზიანს აყენებდა არა მხოლოდ მიხეილ სააკაშვილს, არამედ სხვა პატიმრებსაც.⁵⁸

ფრაქცია „ლელო“ საპარლამენტო სესიებს ბოიკოტი გამოუცხადა.⁵⁹ მათი თქმით, ისინი ამ რეჟიმში დარჩებოდნენ მანამ, სანამ ხელისუფლება მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის დასაცავად ადეკვატურ ნაბიჯებს არ გადადგამდა.⁶⁰ მესამე პრეზიდენტის სამოქალაქო კლინიკაში გადაყვანის მოთხოვნით პარლამენტის შენობაში შიმშილობა დაიწყო პარტია „დროას“ დამფუძნებელმა ელენე ხოშტარია.⁶¹ მან სააკაშვილის გარშემო მიმდინარე მოვლენები დაახასიათა, როგორც „სადისტური

⁴⁷ „პენიტენციური სამსახური ციხეში მიხეილ სააკაშვილის შესახებ ვიდეომასალას ავრცელებს“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 6 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3q2TQRD>, განახლებულია: 16.12.2021.

⁴⁸ იქვე.

⁴⁹ „სახალხო დამცველის მოადგილე - სააკაშვილი აღნიშნავს, რომ ნებისმიერი დანამატი, რაც მან მიიღო, ექიმების თხოვნით მიიღო, როგორც გარკვეული პრეპარატის შემცველი“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 7 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/322spiT>, განახლებულია: 16.12.2021.

⁵⁰ „მიხეილ სააკაშვილი - კადრების სრულიად სამარცხვინო და დანაშაულებრივი გამოქვეყნებით მე ვერაფერი დამაკლეს, პირიქით, ყველა დარწმუნდა, რომ ნამდვილად ვშიმშილობ და საუკეთესო ფორმაში არ ვიმყოფები“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 7 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/33DPhWJ>, განახლებულია: 16.12.2021.

⁵¹ იქვე.

⁵² „მიხეილ სააკაშვილის პირადი ექიმი - ვთხოვ კონსილიუმის წევრებს, შევხვდეთ სასწრაფოდ და გადავწყვიტოთ, რა ვქნათ - მდგომარეობა კრიტიკულზე კრიტიკული ხდება, შეიძლება რამდენიმე საათშიც“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 7 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3s6L2wZ>, განახლებულია: 16.12.2021.

⁵³ „სალომე სამადაშვილი პენიტენციური სამსახურის მიერ გავრცელებულ კადრებზე - ეს არის მიხეილ სააკაშვილის უფლებების უხეში დარღვევა“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 7 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/30BwdqU>, განახლებულია: 16.12.2021.

⁵⁴ იქვე.

⁵⁵ „სახალხო დამცველი პენიტენციურ სამსახურს სააკაშვილის კადრების გამოქვეყნების გამო აკრიტიკებს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 8 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/453751>, განახლებულია: 16.12.2021.

⁵⁶ იქვე.

⁵⁷ იქვე.

⁵⁸ „სახალხო დამცველი პენიტენციურ სამსახურს სააკაშვილის კადრების გამოქვეყნების გამო აკრიტიკებს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 8 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/453751>, განახლებულია: 16.12.2021.

⁵⁹ „ფრაქცია „ლელო“ საპარლამენტო სესიებს ბოიკოტს უცხადებს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 3 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/452650>, განახლებულია: 16.12.2021.

⁶⁰ იქვე.

⁶¹ „ელენე ხოშტარია სააკაშვილის სამოქალაქო კლინიკაში გადაყვანის მოთხოვნით შიმშილობას იწყებს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/452776>, განახლებულია: 16.12.2021.

და ცინიკური შურისძიება“.⁶² 9 ნოემბერს „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ცნობით, ოპოზიციის წევრები ელენე ხომტარიას მონამვლის საკითხს განიხილავდნენ.⁶³ ამ უკანასკნელის თქმით, კობახიძის განცხადება მმართველი პარტიის ფანატიზმის მძიმე მდგომარეობაზე მიუთითებდა და არსებითი საკითხებიდან საზოგადოების ყურადღების გადატანის მცდელობა იყო.⁶⁴ 14 ნოემბერს სააკაშვილის სამოქალაქო საავადმყოფოში გადაყვანის მოთხოვნით შიმშილობა „ნაციონალური მოძრაობის“ საპარლამენტო ბლოკის ცხრა დეპუტატმაც დაიწყო.⁶⁵

5 ნოემბერს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებულ მოვლენებს განცხადებით გამოეხმაურა.⁶⁶ ინსპექტორმა აღნიშნა, რომ პატიმრის მკურნალობის მიზნით სამოქალაქო საავადმყოფოში გადაყვანაზე უარის თქმის შემთხვევაში, შესაძლოა, ის წამების და არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლი ყოფილიყო. გარდა ამისა, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მიუხედავად, პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ დეტალების გასაჯაროება ვერ იქნებოდა გამართლებული.⁶⁷

8 ნოემბერს, საერთაშორისო თუ ადგილობრივი ორგანიზაციების, აგრეთვე პოლიტიკოსების მონოდების მიუხედავად, სააკაშვილი გლდანის №18 ციხის საავადმყოფოში გადაიყვანეს.⁶⁸ რუსთავიდან გლდანის ციხის საავადმყოფოში გადაყვანის დროს თქმის ერთი საათის განმავლობაში უცნობი იყო მესამე პრეზიდენტის ადგილმდებარეობა.⁶⁹ მედიასაშუალებებით გავრცელდა ინფორმაცია, რომ სააკაშვილს გლდანის ციხის პატიმრები ხმაურით და სიტყვიერი შეურაცხყოფით შეხვდნენ.⁷⁰ მისი ადვოკატების განცხადებით, №18 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მისი გადაყვანა ფსიქოლოგიური ზეწოლისა და ფიზიკური ძალადობის რისკებს შეიცავდა.⁷¹ სახალხო დამცველ ნინო ლომჯარიას თქმით, გლდანის ციხეში განთავსებულ პატიმრებს სააკაშვილთან ინტერესთა კონფლიქტი ჰქონდათ.⁷² შესაბამისად, ციხის ადმინისტრაცია ყოფილ პრეზიდენტს ვერბალური აგრესიისა და ფსიქოლოგიური ზეწოლისგან ვერ დაიცავდა.⁷³ მან ასევე აღნიშნა, რომ, სააკაშვილის თქმით, მან არ იცოდა გლდანის პენიტენციურ საავადმყოფოში გადაყვანის შესახებ, ვინაიდან უთხრეს, რომ მულტიფუნქციურ, სამოქალაქო კლინიკაში გადაჰყავდათ.⁷⁴ სააკაშვილმა სახალხო დამცველს შეატყობინა, რომ ის გლდანის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში იძულებით შეიყვანეს.⁷⁵ ამის შესახებ სახალხო დამცველის აპარატმა რეაგირებისთვის სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს აცნობა,⁷⁶ რომელმაც შესაძლო არაადამიანური მოპყრობის ფაქტზე

⁶² იქვე.

⁶³ „კობახიძე აცხადებს, რომ „რადიკალების“ თათბირზე განიხილეს ელენე ხომტარიას მონამვლის სცენარი“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2021 წლის 9 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31552814.html>, განახლებულია: 16.12.2021.

⁶⁴ იქვე.

⁶⁵ „საკაშვილის სხვა კლინიკაში გადაყვანის მოთხოვნით შიმშილობას კიდევ 9 დეპუტატი იწყებს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 15 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/455043>, განახლებულია: 16.12.2021.

⁶⁶ „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის განცხადება“, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 5 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://personaldata.ge/ka/press/post/7717>, განახლებულია: 16.12.2021.

⁶⁷ იქვე.

⁶⁸ „საკაშვილი გლდანის ციხის საავადმყოფოში გადაიყვანეს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 8 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/453650>, განახლებულია: 16.12.2021.

⁶⁹ იქვე.

⁷⁰ „გლდანის პენიტენციურში გადაყვანილ სააკაშვილს პატიმრები აგინებენ“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 8 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/454044>, განახლებულია: 16.12.2021.

⁷¹ იქვე.

⁷² იქვე.

⁷³ იქვე.

⁷⁴ საქართველოს სახალხო დამცველის ოფიციალური Facebook-გვერდი, 2021 წლის 9 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3F4Sr3g>, განახლებულია: 16.12.2021.

⁷⁵ იქვე.

⁷⁶ იქვე.

გამოძიება დაიწყო.⁷⁷ აპარატმა ასევე დაადგინა, რომ 2021 წლის 18 იანვრის შემდეგ რუსთავის ციხიდან პატიმრები სამოქალაქო სამედიცინო კლინიკაში გადაჰყავდათ და არა - პენიტენციური დაწესებულების საავადმყოფოში.⁷⁸

მომხდართან დაკავშირებით ერთობლივი განცხადება გაავრცელეს საიამ და სოციალური სამართლიანობის ცენტრმა.⁷⁹ ორგანიზაციების აზრით, ხელისუფლებამ სააკაშვილის გლდანის №18 ციხის საავადმყოფოში გადაყვანისას დაარღვია სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლებები.⁸⁰ გარდა ამისა, ამ ქმედებამ პოლარიზაციის გაღრმავების საფრთხე შექმნა.⁸¹ ორგანიზაციების თქმით, დაუშვებელი იყო სამედიცინო ჩვენების სანინალმდეგოდ, დაუსაბუთებელი და აბსტრაქტული საფრთხის საფუძველზე, მესამე პრეზიდენტისთვის სამოქალაქო საავადმყოფოში გადაყვანაზე უარის თქმა.⁸² მათ ხელისუფლებას მოუწოდეს, დაუყოვნებლივ გადაეყვანა მიხეილ სააკაშვილი ციხის საავადმყოფოდან, როგორც ეს ექიმთა მულტიფუნქციური ჯგუფის დასკვნით იყო რეკომენდებული და დაეცვა მისი ჯანმრთელობისა და პირადი უსაფრთხოების უფლება; გადაედგა ქმედითი ნაბიჯები ვითარების დეესკალაციისკენ და დაეწყო მოლაპარაკებები ოპოზიციასთან.⁸³ ორგანიზაციებმა ოპოზიციურ პარტიებს მიმართეს, რომ ემოქმედათ მშვიდობიანი შეკრებისა და გამოსატვის ფარგლებში, ამასთანავე, თავი შეეკავებინათ სიტუაციის გაართულებისგან.⁸⁴

9 ნოემბერს არასამთავრობო ორგანიზაციებმა⁸⁵ ერთობლივი განცხადება გაავრცელეს და მიხეილ სააკაშვილის ალტერნატიულ სამედიცინო დაწესებულებაში დაუყოვნებლივ გადაყვანა მოითხოვეს.⁸⁶ განცხადებაში ორგანიზაციებმა აღნიშნეს, რომ მიმდინარე მოვლენებზე სრული პასუხისმგებლობა ხელისუფლებას ეკისრებოდა.⁸⁷ მმართველი პარტიის ნაბიჯები არ შეესაბამებოდა ქვეყნის ინტერესების დაცვას და სიტუაციის განმუხტვას.⁸⁸ შედეგად, ქვეყანაში, შესაძლოა, სამოქალაქო დაპირისპირება დაწყებულიყო.⁸⁹

8 ნოემბერს ოპოზიციამ მიხეილ სააკაშვილის სამოქალაქო საავადმყოფოში გადაყვანისა და მისი გათავისუფლების მოთხოვნით თბილისში აქციები დაიწყო.⁹⁰ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერმა ნიკა მელიამ აღნიშნა, რომ პროვოკაციის თავიდან აცილების მიზნით დემონსტრაცია არ გაიმართებოდა გლდანის ციხესთან.⁹¹

⁷⁷ „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა მიხეილ სააკაშვილის მიმართ განხორციელებული შესაძლო არაადამიანური მოპყრობის ფაქტზე გამოძიება დაიწყო“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 9 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3q5czvQ>, განახლებულია: 16.12.2021.

⁷⁸ საქართველოს სახალხო დამცველის ოფიციალური Facebook-გვერდი, 2021 წლის 9 ნოემბერი.

⁷⁹ „საკაშვილის ჰოსპიტალიზაცია პენიტენციური სისტემის სამკურნალო დაწესებულებაში ვერ აზღვევს მისი ჯანმრთელობისა და ხელშეუხებლობის რისკებს“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2021 წლის 9 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3yvww0Z>, განახლებულია: 16.12.2021.

⁸⁰ იქვე.

⁸¹ „საკაშვილის ჰოსპიტალიზაცია პენიტენციური სისტემის სამკურნალო დაწესებულებაში ვერ აზღვევს მისი ჯანმრთელობისა და ხელშეუხებლობის რისკებს“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია.

⁸² იქვე.

⁸³ იქვე.

⁸⁴ იქვე.

⁸⁵ განცხადებას ხელს აწერენ „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, „ლია საზოგადოების ფონდი“, „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“, „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, „უფლებები საქართველო“, „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“, მოძრაობა „სირცხვილია“.

⁸⁶ „ხელისუფლებამ მესამე პრეზიდენტი ალტერნატიულ სამედიცინო დაწესებულებაში დაუყოვნებლივ უნდა გადაიყვანოს“, ინფორმაციის თავისუფლებისა და განვითარების ინსტიტუტის ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 9 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://idfi.ge/ge/ngos_joint, განახლებულია: 16.12.2021.

⁸⁷ იქვე.

⁸⁸ იქვე.

⁸⁹ იქვე.

⁹⁰ „ოპოზიციამ თბილისში აქციები დაიწყო“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 8 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/453843>, განახლებულია: 16.12.2021.

⁹¹ იქვე.

8 ნოემბერს უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ მიხეილ სააკაშვილის სამოქალაქო კლინიკაში დაუყოვნებლივ გადაყვანის მოთხოვნით ოფიციალური ნოტა გაუგზავნა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს.⁹² მათი თქმით, უკრაინის მოქალაქის პენიტენციურ სამედიცინო დაწესებულებაში დატოვებით დამატებითი საფრთხე და რისკი იქმნებოდა.⁹³ იმავე დღეს უკრაინის პარლამენტის 89 დეპუტატმა საქართველოს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილსა და პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს წერილით მიმართა. მათ ხელისუფლებას სააკაშვილისთვის სათანადო სამედიცინო დახმარების აღმოჩენისკენ, სამართლებრივი დახმარების განწვეისა და უკრაინაში დროულად დაბრუნებისკენ მოუწოდეს.⁹⁴ გარდა ამისა, დეპუტატებმა სამოქალაქო საავადმყოფოში მისი გადაყვანა მოითხოვეს.⁹⁵

ევროკავშირის ელჩმა კარლ ჰარცელმა სააკაშვილის მდგომარეობასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მისი უფლებების, მათ შორის, გამჭვირვალე, სამართლიანი სასამართლოს წინაშე წარდგომისა და ადეკვატური სამედიცინო მომსახურების მიღების, ასევე, ციხეში ყოფნისას პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და ღირსების დაცვის უზრუნველყოფა სრულად ხელისუფლების პასუხისმგებლობას განეკუთვნებოდა.⁹⁶ მსგავსი კომენტარები გააკეთეს ევროპარლამენტარებმა მარინა კალიურანდმა, ანა ფოტიგამ და ვიოლა ფონ კრამონმაც.⁹⁷ ამ უკანასკნელის თქმით, მმართველი პარტია, ისე, როგორც არასდროს, გასცდა ევროკავშირში განწვერიანების მიზანს.⁹⁸ მან ასევე მიუთითა, რომ ევროკავშირი ველარ შეძლებდა ისეთი ქვეყნისთვის ფულადი დახმარების განწვეას, რომელიც ნაკისრ ვალდებულებებს არ ასრულებდა.⁹⁹

ხელისუფლებას სააკაშვილის სამოქალაქო საავადმყოფოში გადაყვანისკენ მოუწოდა აშშ-ის ელჩმა კელი დეგნანმა.¹⁰⁰ მან ასევე მიმართა ყოფილ პრეზიდენტს, გაეთვალისწინებინა ექიმების რჩევა და მიეღო სამედიცინო დახმარება.¹⁰¹ დეგნანმა აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანი იყო, ხელისუფლებას ეზრუნა პატიმრის ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ ჯანმრთელობაზე და დაეცვა მისი უსაფრთხოება.¹⁰² მსგავსი განცხადება გააკეთა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსპიკერმა ნედ პრაისმაც, რომელმაც მმართველ პარტიას სააკაშვილისთვის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისკენ მოუწოდა.¹⁰³

11 ნოემბერს პენიტენციურმა სამსახურმა მიხეილ სააკაშვილის გლდანის ციხის საავადმყოფოში იძულებით შესახლების კადრები გაავრცელა.¹⁰⁴ ვიდეოში ჩანს, როგორ ამბობს მესამე პრეზიდენტი უარს სასწრაფო დახმარების მანქანიდან გადმოსვლაზე და კატეგორიულად მოითხოვს რუსთავის

⁹² „კიევი სააკაშვილის სამოქალაქო საავადმყოფოში გადაყვანას ითხოვს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 9 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/453870>, განახლებულია: 16.12.2021.

⁹³ იქვე.

⁹⁴ „Депутаты Верховной Рады обратились к президенту и премьер-министру Грузии. Просят вернуть Саакашвили“, информационный портал „Gordonua.com“, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3scMga4>, განახლებულია: 16.12.2021.

⁹⁵ იქვე.

⁹⁶ ონლაინ პანელური დისკუსია „2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების გავლენა საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობაზე“, 2021 წლის 9 ნოემბერი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური Facebook-გვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3lXuVYi>, განახლებულია: 16.12.2021.

⁹⁷ იქვე.

⁹⁸ იქვე.

⁹⁹ იქვე.

¹⁰⁰ „კელი დეგნანი - ჩვენი რეკომენდაციაა ხელისუფლებისადმი, რომ უზრუნველყოს სააკაშვილი იმ სამედიცინო დახმარებით, რომელიც მას ესაჭიროება - მას უნდა მოეპყრონ თანასწორად და ღირსების დაცვით“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 9 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/33BNoK3>, განახლებულია: 16.12.2021.

¹⁰¹ იქვე.

¹⁰² იქვე.

¹⁰³ „აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი: „საკაშვილს სამართლიანად და ღირსეულად მოეპყარით“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 10 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/454117>, განახლებულია: 16.12.2021.

¹⁰⁴ „პატიმარ მიხეილ სააკაშვილის ტრანსპორტირება მე-18 სამკურნალო დაწესებულებაში“, სპეციალური პენიტენციური სამსახურის ოფიციალური Facebook-გვერდი, 2021 წლის 11 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.facebook.com/watch/?v=410894323838316>, განახლებულია: 16.12.2021.

ციხეში დაბრუნებას.¹⁰⁵ კადრებიდან ირკვევა, რომ მიხეილ სააკაშვილი დაწესებულებაში ძალის გამოყენებით შეჰყავთ.¹⁰⁶ იუსტიციის მინისტრმა რატი ბრეგაძემ ვიდეომასალის გავრცელება მაღალი საზოგადოებრივი ინტერესით გაამართლა.¹⁰⁷ ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ ხატია დეკანოიძემ აღნიშნა, რომ ამ კადრებით დადასტურდა სააკაშვილის წინააღმდეგ არაადამიანურ მოპყრობასა და წამებაში სახელმწიფო ორგანოების ჩართულობა, რაც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ყველა მუხლს არღვევდა.¹⁰⁸ „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ ხელისუფლების ამ ნაბიჯს პირადი შურისძიება უწოდა.¹⁰⁹ სახალხო დამცველ ნინო ლომჯარიას თქმით, კადრების გავრცელებით შეილახა მესამე პრეზიდენტის პატივის, ღირსებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება.¹¹⁰ ეს ფაქტი კრიტიკულად შეაფასა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმაც.¹¹¹ მან იუსტიციის სამინისტროსა და პენიტენციურ სამსახურს მოუწოდა, შეენწყვიტათ მიხეილ სააკაშვილის პირადი ცხოვრების ამსახველი მასალის გავრცელება და პატივი ეცათ მისი უფლებებისთვის.¹¹² ევროპარლამენტარმა ვიოლა ფონ კრამონმა კადრების გავრცელებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სააკაშვილის საქმე სულ უფრო პოლიტიკური ხდება და „ქართული ოცნება“ უფრო და უფრო ემსგავსებოდა წინა ხელისუფლებას.¹¹³

პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა პენიტენციური სამსახური კადრების გავრცელების გამო გააკრიტიკა და განაცხადა, რომ უნდა დაეცვათ სააკაშვილის ღირსება, ჯანმრთელობა და უსაფრთხოება.¹¹⁴ გარდა ამისა, მისი თქმით, მესამე პრეზიდენტი არ და ვერ იქნებოდა „რიგითი პატიმარი“. ¹¹⁵ სალომე ზურაბიშვილმა ხელისუფლებას მოუწოდა, უზრუნველყოთ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ საზოგადოების დროული ინფორმირება.¹¹⁶

მიხეილ სააკაშვილის გლდანის ციხის საავადმყოფოში გადაყვანისა და ამ პროცესის ამსახველი კადრების გავრცელების ფონზე, 12 ნოემბერს, სატელეფონო საუბარი შედგა საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილსა და უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის

¹⁰⁵ იქვე.

¹⁰⁶ „პატიმარ მიხეილ სააკაშვილის შესახება №18 სამკურნალო დაწესებულებაში“, სპეციალური პენიტენციური სამსახურის ოფიციალური Facebook-გვერდი, 2021 წლის 11 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.facebook.com/moc.gov.ge/>, განახლებულია: 16.12.2021.

¹⁰⁷ „პენიტენციური ციხის საავადმყოფოში სააკაშვილის იძულებით შესახლების კიდევ ერთ ჩანაწერს ავრცელებს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 11 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/454533>, განახლებულია: 16.12.2021.

¹⁰⁸ „ხატია დეკანოიძე - კადრების გავრცელებით კიდევ ერთხელ დადასტურდა, რამდენად სადისტიური მიდრეკილების არის ეს ხელისუფლება“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 11 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3sbBMHZ>, განახლებულია: 16.12.2021.

¹⁰⁹ „ნიკა მელია სააკაშვილის შესახებ ვიდეოკადრებზე - ეს არის შურისძიება საქართველოს ერთ შვილზე, რომელმაც ამ ქვეყნისთვის ბევრი რამ გააკეთა“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 11 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3sgdPz5>, განახლებულია: 16.12.2021.

¹¹⁰ „ომბუდსმენი - სრულიად არაპროპორციული და შეურაცხყოფელი ფორმით მიხეილ სააკაშვილის კადრების გავრცელებით ირღვევა მისი პატივის, ღირსებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 11 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3q3ZuDi>, განახლებულია: 16.12.2021.

¹¹¹ „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის განცხადება“, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 11 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://personaldata.ge/ka/press/post/7726>, განახლებულია: 16.12.2021.

¹¹² „ხელისუფლებას სააკაშვილის მოპყრობისა და კადრების გავრცელების გამო აკრიტიკებენ“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 12 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/454794>, განახლებულია: 16.12.2021.

¹¹³ „ვიოლა ფონ კრამონი - სააკაშვილის საქმე სულ უფრო პოლიტიკური ხდება და „ქართული ოცნება“ უფრო და უფრო ემსგავსება წინა ხელისუფლებას“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 11 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3EYpxSu>, განახლებულია: 16.12.2021.

¹¹⁴ „პრეზიდენტის თქმით, მიხეილ სააკაშვილის ღირსება დაცული უნდა იყოს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 17 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/455965>, განახლებულია: 16.12.2021.

¹¹⁵ იქვე.

¹¹⁶ იქვე.

შორის, რომელმაც პრემიერს განუცხადა, რომ სააკაშვილის უფლებები საერთაშორისო ნორმების შესაბამისად უნდა დაეცვათ.¹¹⁷ ღარიბაშვილმა, თავის მხრივ, განუმარტა, რომ, ვინაიდან მესამე პრეზიდენტმა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა პერსონალს, პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაცია იძულებული გახდა, კანონით განსაზღვრულ ფარგლებში ემოქმედა.¹¹⁸ მან სააკაშვილის ქმედებებს დესტრუქციული და პროვოკაციული უწოდა.¹¹⁹ ამასთანავე, აღნიშნა, რომ უკრაინის მხრიდან საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევა მიუღებელი იყო.¹²⁰

საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო ამნისტიამ“ სააკაშვილის მიმართ ხელისუფლების ქმედებებს „აშკარა პოლიტიკური შურისძიება“ უწოდა.¹²¹ მან მმართველი პარტია მესამე პრეზიდენტის ციხის საავადმყოფოში იძულებით გადაყვანისთვისაც გააკრიტიკა.¹²²

Human Rights Watch-ის ევროპისა და ცენტრალური აზიის განყოფილების ასოცირებულმა დირექტორმა გიორგი გოგიამ განაცხადა, რომ სააკაშვილის უფლებები, კერძოდ, სამართლიანი სასამართლოს, ჯანდაცვის, ღირსებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებები რისკის ქვეშ იყო.¹²³ მან ასევე აღნიშნა, რომ სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ სააკაშვილის პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გავრცელებას გამართლება არ ჰქონდა.¹²⁴

საიამ უარყოფითად შეაფასა სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ კადრების გავრცელება და მას „დაუსაბუთებელი“ უწოდა.¹²⁵ ორგანიზაციის აზრით, უწყებამ უგულებელყო მსჯავრდებულის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის, პატივისა და ღირსების უფლებები და ვიდეოკადრები დაუსაბუთებლად გაასაჯაროვა.¹²⁶ საია სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს მოუწოდებს, შეწყვიტოს მსგავსი მასალის გავრცელება, დაელოდოს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისგან მომხდარის შესწავლას და ითანამშრომლოს საგამოძიებო ორგანოებთან ვიდეოში ასახულ შესაძლო დარღვევებთან დაკავშირებით.¹²⁷

12-13 ნოემბერს ევროპარლამენტარმა ანა ფოტიგამ ციხის საავადმყოფოში მიხეილ სააკაშვილის მონახულება სცადა, რისი საშუალებაც მას არ მისცეს.¹²⁸ მისი თქმით, სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე პასუხისმგებლობა სრულად ხელისუფლებას ეკისრებოდა.¹²⁹ ანა ფოტიგას შენიშვნას უპასუხა მმართველი პარტიის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ. მან ევროპარლამენტარი „კრიმინალების სასარგებლოდ პოლიტიკურად მიკერძოებულ“ ადამიანად დაახასიათა და აღნიშნა, რომ ის კრიმინალურ პოლიტიკურ ძალას უჭერდა მხარს.¹³⁰

18 ნოემბერს ყოფილმა პრეზიდენტმა ჯანმრთელობის გაუარესების გამო გონება დაკარგა.¹³¹ ამ ფაქტს გამოეხმაურა ევროკავშირის ელჩი კარლ ჰარცელი, რომელმაც ხაზი გაუსვა დებატების

¹¹⁷ „ზელენსკი ღარიბაშვილს სთხოვს, სრულად დაიცვან სააკაშვილის უფლებები“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 12 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/454679>, განახლებულია: 16.12.2021.

¹¹⁸ იქვე.

¹¹⁹ იქვე.

¹²⁰ იქვე.

¹²¹ Amnesty International, Twitter post, November 9, 2021, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3INTIOy>, განახლებულია: 16.12.2021.

¹²² იქვე.

¹²³ Giorgi Gogia, Twitter post, 2021 წლის 10 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3dVCdh5>, განახლებულია: 16.12.2021.

¹²⁴ Giorgi Gogia, Twitter post, 2021 წლის 10 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/324q5bl>, განახლებულია: 16.12.2021.

¹²⁵ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის Facebook-გვერდი, 2021 წლის 11 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3p3tiQU>, განახლებულია: 16.12.2021.

¹²⁶ იქვე.

¹²⁷ იქვე.

¹²⁸ „ევროპარლამენტარ ანა ფოტიგას უარი უთხრეს სააკაშვილის მონახულებაზე“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2021 წლის 13 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31559521.html>, განახლებულია: 16.12.2021.

¹²⁹ იქვე.

¹³⁰ „ირაკლი კობახიძის თქმით, ევროპარლამენტარი ანა ფოტიგა „კრიმინალური პოლიტიკური ძალის ლობისტია“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 17 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/455883>, განახლებულია: 16.12.2021.

¹³¹ „მიხეილ სააკაშვილმა დროებით გონება დაკარგა“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 18 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/456362>, განახლებულია: 16.12.2021.

რეჟიმიდან მოქმედებაზე გადასვლის მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ აუცილებელი იყო ყურადღების გამახვილება მესამე პრეზიდენტის ჯანმრთელობაზე.¹³² მსგავსი კომენტარი გააკეთა აშშ-ის ელჩმა კელი დეგანმაც.¹³³ მისი თქმით, როდესაც საფრთხე ადამიანის სიცოცხლეს ემუქრებოდა, ზედმეტი იყო დებატები ყველა ქმედითი ნაბიჯის გადადგმის თაობაზე.¹³⁴

მას შემდეგ, რაც მიხეილ სააკაშვილმა გლდანის ციხის საავადმყოფოში გონება დაკარგა, საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა ხელისუფლებას მოუწოდა, რომ მიეღო ყველა საჭირო ზომა პატიმრის ჯანმრთელობის, სიცოცხლის, პატივის, ღირსებისა და უსაფრთხოების დასაცავად.¹³⁵

19 ნოემბერს 23-მა ევროპარლამენტარმა ევროკომისიის პრეზიდენტ ურსულა ფონ დერ ლაიენს, ევროპული საბჭოს პრეზიდენტ შარლ მიშელს და ევროკავშირის უმაღლეს წარმომადგენელ ჯოზეფ ბორელს ერთობლივი განცხადებით მიმართეს.¹³⁶ მათ ადრესატებს მოუწოდეს იმ პირებისთვის სანქციების დაწესების განხილვისკენ, რომლებმაც სააკაშვილის მიმართ არაპუმანური და შეურაცხმყოფელი მოპყრობა დაუშვეს.¹³⁷ წერილში ხაზგასმით აღინიშნა, რომ ყოფილი პრეზიდენტისთვის სამედიცინო დახმარებაზე უარი პოლიტიკური მოტივით იყო განპირობებული.¹³⁸ გარდა ამისა, ევროპარლამენტარების აზრით, გასათვალისწინებელი იყო ომბუდსმენის მიერ შექმნილი სამედიცინო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, რომლის მიხედვით, გლდანის ციხის საავადმყოფო არ იყო შესაფერისი სააკაშვილის მკურნალობისთვის და საჭირო იყო მისი გადაყვანა სამოქალაქო საავადმყოფოში.¹³⁹

სტრასბურგის გადაწყვეტილება

10 ნოემბერს მიხეილ სააკაშვილმა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს დროებითი ღონისძიების მიღების მოთხოვნით მიმართა,¹⁴⁰ რაც სასამართლომ დააკმაყოფილა.¹⁴¹ მან, უპირველეს ყოვლისა, განმცხადებელს შიმშილობის შეწყვეტისკენ მოუწოდა.¹⁴² ხელისუფლებას კი მიუთითა, რომ სააკაშვილისთვის შესაბამისი სამედიცინო დახმარება გაენია და, ზოგადად, ციხეში მისი უსაფრთხოება დაეცვა.¹⁴³ სასამართლოს გადაწყვეტილებით, ხელისუფლებას მისთვის უნდა მიეწოდებინა ინფორმაცია განმცხადებლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ და ეცნობებინა იმ სამედიცინო მკურნალობის ხასიათი, რომელსაც ის ციხის საავადმყოფოში გადიოდა.¹⁴⁴

საკაშვილის ადვოკატების განმარტებით, სასამართლოს გადაწყვეტილებით, სააკაშვილის შიმშილობა საერთაშორისოდ აღიარებული ფაქტი გახდა.¹⁴⁵ ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ

¹³² „ევროკავშირის და აშშ-ის ელჩები სააკაშვილის ჯანმრთელობის დასაცავად ქმედებისკენ მოუწოდებენ“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 19 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/456691>, განახლებულია: 16.12.2021.

¹³³ იქვე.

¹³⁴ იქვე.

¹³⁵ „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური ხელისუფლებას სააკაშვილის სიცოცხლისა და ღირსების დაცვისკენ მოუწოდებს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 19 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/456597>, განახლებულია: 16.12.2021.

¹³⁶ Riho Terras, Twitter post, 2021 წლის 19 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3ywHANf>, განახლებულია: 16.12.2021.

¹³⁷ იქვე.

¹³⁸ იქვე.

¹³⁹ იქვე.

¹⁴⁰ „სტრასბურგის სასამართლომ სააკაშვილის საქმეზე დროებითი ღონისძიების შესახებ გადაწყვეტილება გამოგზავნა“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2021 წლის 11 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31555455.html>, განახლებულია: 16.12.2021.

¹⁴¹ იქვე.

¹⁴² იქვე.

¹⁴³ იქვე.

¹⁴⁴ იქვე.

¹⁴⁵ იქვე.

გადანყვეტილება არ აკონკრეტებდა სამოქალაქო საავადმყოფოში გადაყვანის ვალდებულებას, ის მიუთითებდა დაცვის მაღალ სტანდარტზე, რომელიც ხელისუფლებას უნდა უზრუნველყო.¹⁴⁶

იუსტიციის მინისტრ მარატი ბრეგაძემ აღნიშნა, რომ სააკაშვილის წარმომადგენლებმა სტრასბურგის სასამართლოს მესამე პრეზიდენტის გლდანის ციხის საავადმყოფოდან მრავალპროფილიან სამოქალაქო კლინიკაში გადაყვანის მოთხოვნით მიმართეს.¹⁴⁷ სასამართლომ კი განმცხადებლის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა და, პირიქით, მას დაჟინებით მოუწოდა შიმშილობის შეწყვეტისკენ.¹⁴⁸

11 ნოემბერს მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ ის დაემორჩილებოდა ევროპული სასამართლოს დაჟინებულ მოთხოვნას და შეწყვეტდა შიმშილობას, თუ მას სამოქალაქო საავადმყოფოში გადაიყვანდნენ.¹⁴⁹ მან ასევე მოითხოვა დამოუკიდებელი სამედიცინო კონსილიუმის შექმნა, რომლის წევრების ნახევარი მისი წარმომადგენლები იქნებოდნენ, ხოლო მეორე ნახევარს სახელმწიფო დანიშნავდა.¹⁵⁰

მიხეილ სააკაშვილის სამედიცინო მომსახურების მონიტორინგის მიზნით მულტიპროფილურ ექსპერტთა ჯგუფის შექმნა

მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ მიხეილ სააკაშვილმა, რომელიც სამართალდამცავებმა 1-ლ ოქტომბერს დააკავეს, უარი თქვა ექიმთა კონსილიუმში მონაწილეობაზე.¹⁵¹ მისი ადვოკატის, ნიკა გვარამიას შეფასებით, კონსილიუმი პოლიტიზებულ ორგანოდ იქცა.¹⁵² მოგვიანებით, სააკაშვილის ადვოკატმა განაცხადა, რომ დეზინფორმაცია იყო, თითქოს მესამე პრეზიდენტი ექიმების ვიზიტს ეწინააღმდეგებოდა.¹⁵³ ის მზად იყო მოქმედ კონსილიუმთან შესახვედრად, თუმცა ასევე ითხოვდა ალტერნატიული კომისიის შექმნას მისი მდგომარეობის შესაფასებლად.¹⁵⁴

არასამთავრობო ორგანიზაცია „ემპათია“ მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასების მიზნით ალტერნატიული სამედიცინო კომისია შექმნა¹⁵⁵ და პენიტენციურ სამსახურს ექსპერტთა ჯგუფის ციხეში შესვლის მოთხოვნით მიმართა.¹⁵⁶ ორგანიზაციის წარმომადგენელთა განცხადებით, უწყება მათ სააკაშვილისთვის სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარებაში ხელს უშლიდა და აფერხებდა, ვინაიდან მესამე პრეზიდენტის მონახულებას ვერ ახერხებდნენ.¹⁵⁷ 10 ნოემბერს „ემპათია“ პენიტენციურ დაწესებულებაში მიხეილ სააკაშვილის წამების ფაქტზე ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნა გამოაქვეყნა.¹⁵⁸ დოკუმენტში აღინიშნა, რომ საჭირო იყო

¹⁴⁶ იქვე.

¹⁴⁷ იქვე.

¹⁴⁸ იქვე.

¹⁴⁹ მიხეილ სააკაშვილის Facebook-გვერდი, 2021 წლის 11 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.facebook.com/SaakashviliMikheil/posts/427736762055260>, განახლებულია: 16.12.2021.

¹⁵⁰ იქვე.

¹⁵¹ „გვარამია: სააკაშვილი ექიმთა კონსილიუმში მონაწილეობას აღარ მიიღებს“, საინფორმაციო პორტალი „Formulanews“, ხელმისაწვდომია: <https://formulanews.ge/News/59539>, განახლებულია: 16.12.2021.

¹⁵² იქვე.

¹⁵³ „ადვოკატი - მიხეილ სააკაშვილი მზად არის მოქმედ კონსილიუმს შეხვედეს - კონსილიუმს უკვე ველოდებით“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 14 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3oZcScv>, განახლებულია: 16.12.2021.

¹⁵⁴ იქვე.

¹⁵⁵ „ემპათია“ სააკაშვილის ექსპერტიზაში ჩართვაში პენიტენციური სამსახურიდან ხელის შეშლაზე საუბრობს“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2021 წლის 4 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31545825.html>, განახლებულია: 16.12.2021.

¹⁵⁶ „საკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგის მიზნით შექმნილი ალტერნატიული სამედიცინო ჯგუფი ციხეში შესვლას მოითხოვს“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 1-ლი ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3ywJDkp>, განახლებულია: 16.12.2021.

¹⁵⁷ „ცენტრ „ემპათიას“ განცხადება სპეციალური პენიტენციური სამსახურის მხრიდან ბატონი მიხეილ სააკაშვილის ექსპერტიზაში ხელის შეშლის მცდელობის შესახებ“, „ემპათიას“ ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 4 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <http://empathy.ge/en/5899-2/>, განახლებულია: 16.12.2021.

¹⁵⁸ „ცენტრ „ემპათიას“ ექსპერტთა ჯგუფის განცხადება საქართველოს მე-3 პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის საქართველოს ციხეთა სისტემაში წამების ფაქტზე ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნის შესახებ“, „ემპათიას“ ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 10 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3q4kwBv>, განახლებულია: 16.12.2021.

პატიმრის დაუყოვნებლივ გადაყვანა გლდანის ციხიდან სამოქალაქო კლინიკაში,¹⁵⁹ რადგან №18 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში სააკაშვილის ჯანმრთელობას და პირად ხელშეუხებლობას საფრთხე ემუქრებოდა.¹⁶⁰ გარდა ამისა, ორგანიზაციამ კიდევ ერთხელ მოითხოვა პატიმართან სამედიცინო ჯგუფის უშუალო ვიზიტი მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაფასებლად.¹⁶¹ „ემპათიის“ მიერ შექმნილმა სამედიცინო კომისიამ მიხეილ სააკაშვილი 27 ნოემბერს გორის სამხედრო ჰოსპიტალში მოინახულა.¹⁶²

16 ნოემბერს სახალხო დამცველმა მიხეილ სააკაშვილის სამედიცინო მომსახურების მონიტორინგის მიზნით მულტიპროფილურ ექსპერტთა ჯგუფი შექმნა.¹⁶³ ჯგუფს, ევროპული სასამართლოს 10 ნოემბრის გადაწყვეტილების შესაბამისად, მიხეილ სააკაშვილისთვის სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ მიწოდებული სამედიცინო მომსახურებისა და შიმშილობის შემდგომი მკურნალობისთვის შესაბამისი პირობების ადეკვატურობის შეფასება დაევალა.¹⁶⁴ სახალხო დამცველის მიერ ექსპერტთა ჯგუფს მიენიჭა სპეციალური რწმუნება, რომლის საფუძველზეც, მათ საჭიროების შემთხვევაში მიხეილ სააკაშვილთან ვიზიტის შესაძლებლობა მიეცათ.¹⁶⁵ სახალხო დამცველმა აღნიშნა, რომ, მიუხედავად ჯგუფის შექმნისა, ის ვერ ჩაანაცვლებდა სახელმწიფოს პასუხისმგებლობას პატიმარზე ზრუნვის ნაწილში.¹⁶⁶

17 ნოემბერს ომბუდსმენმა და ექსპერტთა ჯგუფმა მიხეილ სააკაშვილი მოინახულეს.¹⁶⁷ ნინო ლომჯარიამ ვიზიტის შემდეგ განაცხადა, რომ მათ სააკაშვილის გასინჯვის, საავადმყოფოს ინფრასტრუქტურის მონახულების და პერსონალთან გასაუბრების საშუალება მისცეს.¹⁶⁸ ჯგუფის ერთ-ერთი წევრის, გიორგი გრიგოლიას აზრით, მესამე პრეზიდენტის მდგომარეობაში მყოფი პაციენტის მკურნალობა ციხის საავადმყოფოში მიზანშეწონილი არ იყო.¹⁶⁹

ექსპერტთა მულტიპროფილური ჯგუფის 17 ნოემბრის დასკვნის მიხედვით, ციხის საავადმყოფო „ფორმირების ეტაპზე“ იყო, შესაბამისად, ყველა აპარატურა გამართულად არ მუშაობდა.¹⁷⁰ ექიმების აზრით, მესამე პრეზიდენტის მდგომარეობა კრიტიკული იყო, ამიტომ, მათი რეკომენდაციით, ის დაუყოვნებლივ სამოქალაქო კლინიკაში გადაყვანას საჭიროებდა.¹⁷¹

მმართველი პარტიის თავმჯდომარემ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას „ფეიკი“ უწოდა, ხოლო ჯგუფის წევრებს - „პოლიტიკურად უკიდურესად მიკერძოებულნი“.¹⁷² მისი თქმით, ამ დასკვნას, შესაძლოა, მოჰყოლოდა სააკაშვილის მხარდამტყერების მხრიდან პროვოკაცია, რაზეც პირდაპირი პასუხისმგებლობა ექსპერტთა კონსილიუმს დაეკისრებოდა.¹⁷³ ამ განცხადების პასუხად, სახალხო დამცველის აპარატმა ირაკლი კობახიძე დამოუკიდებელ კონსტიტუციურ ორგანოსა და მიუკერძოებელ ექსპერტებზე თავდასხმისთვის გააკრიტიკა და მათი დაშინების მცდელობაში

¹⁵⁹ იქვე.

¹⁶⁰ იქვე.

¹⁶¹ იქვე.

¹⁶² „ცენტრ „ემპათიას“ ექიმთა ჯგუფი გორის ჰოსპიტალში მიხეილ სააკაშვილის მოსანახულებლად შევიდა“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 27 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3oYJ1Ru>, განახლებულია: 16.12.2021.

¹⁶³ „სახალხო დამცველმა მიხეილ სააკაშვილის სამედიცინო მომსახურების მონიტორინგის მიზნით მულტიპროფილურ ექსპერტთა ჯგუფი შექმნა“, საქართველოს სახალხო დამცველის ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 16 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3F7yBoc>, განახლებულია: 16.12.2021.

¹⁶⁴ იქვე.

¹⁶⁵ იქვე.

¹⁶⁶ იქვე.

¹⁶⁷ „ომბუდსმენმა და ექსპერტთა ჯგუფმა მიხეილ სააკაშვილი მოინახულეს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 17 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/455947>, განახლებულია: 16.12.2021.

¹⁶⁸ იქვე.

¹⁶⁹ იქვე.

¹⁷⁰ „საკაშვილის მდგომარეობა კრიტიკულია - ექსპერტთა ჯგუფმა დასკვნა გამოაქვეყნა“, 2021 წლის 17 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31566537.html>, განახლებულია: 16.12.2021.

¹⁷¹ იქვე.

¹⁷² „ირაკლი კობახიძე ექიმთა ჯგუფის დასკვნას „ფეიკს“ უწოდებს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 18 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/456219>, განახლებულია: 16.12.2021.

¹⁷³ იქვე.

დაადანაშაულა.¹⁷⁴ აპარატმა მოუწოდა საერთაშორისო პარტნიორებს, მათ შორის, გაეროს, ეუთო/ოდირს და ევროპის საბჭოს, რომ ეს შემთხვევა შეესწავლათ და შესაბამისად შეეფასებინათ.¹⁷⁵ „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის კომენტარი უარყოფითად შეაფასა საქართველოს სამედიცინო ასოციაციების გაერთიანებამაც.¹⁷⁶ მათ მოუწოდეს ხელისუფლებას, განსაკუთრებით კი, ჯანდაცვის მინისტრს და პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს, რომ უზრუნველყოთ ექიმების პატივისა და ღირსების დაცვა, ვინაიდან კონსილიუმის წევრი ექიმები საქართველოში აღიარებული და მაღალკვალიფიციური პროფესიონალები იყვნენ.¹⁷⁷ ირაკლი კობახიძის კომენტარის შემდეგ სახალხო დამცველის აპარატს მხარდაჭერა გამოუცხადა ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარმა.¹⁷⁸ მან შეაქო ომბუდსმენის მიერ განუული ძალისხმევა და განაცხადა, რომ ვენეციის კომისიის სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად, ხელისუფლება ვალდებული იყო სახალხო დამცველისა და მისი ოფისისთვის უსაფრთხო სამუშაო გარემო შეექმნა.¹⁷⁹

18 ნოემბერს ექსპერტთა ჯგუფი კიდევ ერთხელ ესტუმრა ციხის საავადმყოფოს.¹⁸⁰ მესამე პრეზიდენტის გართულებული მდგომარეობის ნახვის შემდგომ მათ კვლავ დაადასტურეს, რომ საჭირო იყო მისი დაუყოვნებლივ გადაყვანა მრავალპროფილიან კლინიკაში.¹⁸¹ სახალხო დამცველის აპარატმა და ექსპერტთა ჯგუფმა ამჯერადაც მოუწოდეს ხელისუფლებას შესაბამისი რეაგირებისკენ.¹⁸²

25 ნოემბერს ექსპერტთა ჯგუფმა მესამე დასკვნა გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც, გორის სამხედრო ჰოსპიტალში გადაყვანის შემდეგ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა დასტაბილურდა.¹⁸³ დოკუმენტში ნახსენებია, რომ მკურნალობა ადეკვატურად წარიმართა, თუმცა შემდგომ ეტაპზე საჭირო იყო პროცესში მაღალკვალიფიციური სპეციალისტების ჩართვა.¹⁸⁴

მიხილ სააკაშვილის გორის სამხედრო ჰოსპიტალში გადაყვანა

19 ნოემბერს იუსტიციის მინისტრმა რატი ბრეგაძემ სააკაშვილს, მისი თანხმობის შემთხვევაში, გორის სამხედრო ჰოსპიტალში გადაყვანა შესთავაზა.¹⁸⁵ მან აღნიშნა, რომ ჰოსპიტალში მესამე პრეზიდენტის ჯანმრთელობა და უსაფრთხოება მაქსიმალურად იქნებოდა დაცული.¹⁸⁶

¹⁷⁴ „საქართველოს სახალხო დამცველი მპგ „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მუქარის შემცველ განცხადებებს ეხმაურება“, საქართველოს სახალხო დამცველის ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 18 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3GQ9VB3>, განახლებულია: 16.12.2021.

¹⁷⁵ იქვე.

¹⁷⁶ „სამედიცინო ასოციაციების გაერთიანება კობახიძეს ექიმებზე „უპრეცედენტო ზეწოლის“ გამო აკრიტიკებს, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 20 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/456891>, განახლებულია: 16.12.2021.

¹⁷⁷ იქვე.

¹⁷⁸ „Georgian politicians should fully respect the independent mandate of the Public Defender“, official webpage of Council Europe, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3dVOn9I>, განახლებულია: 16.12.2021.

¹⁷⁹ იქვე.

¹⁸⁰ „სახალხო დამცველის მიერ შექმნილი სპეციალისტთა/ექსპერტთა ჯგუფმა მიხილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის დამძიმების გამო №18 დანესებულებაში დამატებითი ვიზიტი განახორციელა“, საქართველოს სახალხო დამცველის ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 19 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3IVRvRi>, განახლებულია: 16.12.2021.

¹⁸¹ იქვე.

¹⁸² იქვე.

¹⁸³ „სახალხო დამცველის მიერ შექმნილი სპეციალისტთა/ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა №3 მიხილ სააკაშვილის სამედიცინო მდგომარეობის მონიტორინგის შედეგების შესახებ“, საქართველოს სახალხო დამცველის ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 25 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3GQq7T2>, განახლებულია: 16.12.2021.

¹⁸⁴ იქვე.

¹⁸⁵ „იუსტიციის მინისტრი მიხილ სააკაშვილს გორის სამხედრო ჰოსპიტალში გადაყვანას სთავაზობს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 19 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/456610>, განახლებულია: 16.12.2021.

¹⁸⁶ „იუსტიციის მინისტრი მიხილ სააკაშვილს გორის სამხედრო ჰოსპიტალში გადაყვანას სთავაზობს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 19 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/456610>, განახლებულია: 16.12.2021.

მინისტრის თქმით, თუ სააკაშვილის მხარდამჭერები პროვოკაციის გზით ხელს შეუშლიდნენ მის ტრანსპორტირებას ან სამედიცინო პერსონალის მუშაობას, პატიმარი გლდანის ციხის საავადმყოფოში დაბრუნდებოდა.¹⁸⁷ იმავე დღეს, ვინაიდან იუსტიციის მინისტრმა მიხეილ სააკაშვილს გორის ჰოსპიტალში გადაყვანა შესთავაზა, პარტია „დროას“ ლიდერმა ელენე ხოშტარიამ შიმშილობა შეწყვიტა.¹⁸⁸

ყოფილმა პრეზიდენტმა ხელისუფლების წინადადება მიიღო და გორის სამხედრო ჰოსპიტალში გადაყვანას დასთანხმდა.¹⁸⁹ მან ასევე განაცხადა, რომ ჰოსპიტალში მოთავსებისთანავე შეწყვეტდა შიმშილობა, თუმცა არ შეეგუებოდა უკანონო პატიმრობას.¹⁹⁰ სააკაშვილის თქმით, ის მზად იყო, სპეციალურად შექმნილი, მიუკერძოებელი და სამართლიანი სასამართლოს წინაშე წარმდგარიყო.¹⁹¹

20 ნოემბერს მესამე პრეზიდენტი გორის სამხედრო ჰოსპიტალში გადაიყვანეს.¹⁹² იქ მივიდა სააკაშვილის ადვოკატი ნიკა გვარამია, რათა მისი გადაყვანის პირობებს დასწრებოდა.¹⁹³ გვარამიას თქმით, მას თვალი უნდა ედევნებინა, რომ არ განმეორებულიყო ის, რაც გლდანის ციხის საავადმყოფოში მოხდა.¹⁹⁴

სახალხო დამცველმა 23 ნოემბერს გამოაქვეყნა ევროპული სასამართლოს 19 ნოემბრის დროებითი ღონისძიების გადაწყვეტილება, რომლითაც ამ უკანასკნელმა ხელისუფლებას დაავალა, გაეთვალისწინებინა სახალხო დამცველის მიერ შექმნილი სამედიცინო ჯგუფის დასკვნა, ხოლო მიხეილ სააკაშვილს შიმშილობის შეწყვეტისკენ მოუწოდა.¹⁹⁵ მნიშვნელოვანია, რომ გადაწყვეტილების თარიღი ემთხვევა ხელისუფლების მხრიდან სააკაშვილისთვის გორის ჰოსპიტალში გადაყვანის შეთავაზებას.¹⁹⁶

აშშ-ის სენატორი ჯინ შაჰინი მიესალმა სააკაშვილის გორის ჰოსპიტალში გადაყვანას და მიხეილ სააკაშვილის გადაწყვეტილებას შიმშილობის შეწყვეტასთან დაკავშირებით.¹⁹⁷ გარდა ამისა, აშშ-ის სენატორებმა რონ ჯონსონმა, ჯიმ რიშმა და ბენ კარდინმა, ჯინ შაჰინთან ერთად, შეშფოთება გამოხატეს სააკაშვილის მიმართ ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯების გამო.¹⁹⁸ მათ განცხადებაში აღნიშნეს, რომ დეტალურად ადევნებდნენ თვალს მიმდინარე სასამართლო პროცესებს და ხაზი გაუსვეს მათი სამართლიანობის, გამჭვირვალობისა და სხდომებზე სააკაშვილის დასწრების მნიშვნელობას.¹⁹⁹ სენატორებმა მმართველ პარტიას მოუწოდეს, პრიორიტეტი მიენიჭებინა სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობისთვის.²⁰⁰

¹⁸⁷ იქვე.

¹⁸⁸ „ელენე ხოშტარია შიმშილობას წყვეტს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 19 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/456715>, განახლებულია: 16.12.2021.

¹⁸⁹ „მიხეილ სააკაშვილი თანახმაა, რომ შიმშილობა შეწყვიტოს და გორის ჰოსპიტალში გადაიყვანონ“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 19 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/456827>, განახლებულია: 16.12.2021.

¹⁹⁰ იქვე.

¹⁹¹ იქვე.

¹⁹² „მიხეილ სააკაშვილი გორის სამხედრო ჰოსპიტალში გადაიყვანეს“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2021 წლის 20 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31570227.html>, განახლებულია: 16.12.2021.

¹⁹³ იქვე.

¹⁹⁴ იქვე.

¹⁹⁵ „19 ნოემბერი: სტრასბურგმა მთავრობას დაავალა სააკაშვილის გადაყვანაზე ომბუდსმენის ექიმთა დასკვნით ემოქმედა“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 23 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/457275>, განახლებულია: 16.12.2021.

¹⁹⁶ იქვე.

¹⁹⁷ „ამერიკელი სენატორები სააკაშვილის მიმართ უსამართლო მოპყრობის გამო შეშფოთებას გამოხატავენ“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 22 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/457022>, განახლებულია: 16.12.2021.

¹⁹⁸ „Shaheen, Johnson, Risch, Cardin Issue Joint Statement on Former President of Georgia Mikheil Saakashvili“, official webpage of Jeanne Shaneen, November 19, 2021, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3EfnMI>, განახლებულია: 16.12.2021.

¹⁹⁹ იქვე.

²⁰⁰ იქვე.

სახალხო დამცველის მიმართ მმართველი პარტიის თავდასხმები

9 ნოემბერს „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ აღნიშნა, რომ სახალხო დამცველი და „ნაციონალური მოძრაობა“ უსაფუძვლოდითხოვდნენ მიხეილსააკაშვილის სამოქალაქო საავადმყოფოში გადაყვანას. მათ მხოლოდ იმ რადიკალური გეგმების განხორციელება სურდათ, რომლებსაც სააკაშვილის გათავისუფლების მოთხოვნით გამართული აქცია ემსახურებოდა.²⁰¹ კობახიძის თქმით, მიხეილ სააკაშვილის კერძო კლინიკაში გადაყვანა მის მხარდამჭერებს მისი ძალადობრივი გათავისუფლებისკენ უბიძგებდა.²⁰² პარტიის თავმჯდომარემ ასევე მიუთითა, რომ სახალხო დამცველი „ნაციონალური მოძრაობის“ დღის წესრიგს მიჰყვებოდა.²⁰³ ამ კრიტიკის პასუხად, აშშ-ის ელჩმა კელი დეგნანმა განაცხადა, რომ სახალხო დამცველის ინსტიტუტი ქვეყნის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა და ისინი, კრიტიკის ნაცვლად, ქებას იმსახურებდნენ.²⁰⁴

15 ნოემბერს ევროპარლამენტარებმა მარინა კალიურანდმა და სვენ მიკსერმა ერთობლივი განცხადებით მხარდაჭერა გამოუცხადეს სახალხო დამცველს, რომელიც მიხეილ სააკაშვილის დასაცავად გაკეთებული კომენტარების გამო მმართველი პარტიის თავდასხმის ობიექტი გახდა.²⁰⁵ მათი თქმით, სახალხო დამცველის აპარატი გადამწყვეტ როლს ასრულებდა ქართულ საზოგადოებაში და მისი დამოუკიდებლობის წინააღმდეგ შეტევები შემოფოთებას იწვევდა.²⁰⁶

ომბუდსმენს მხარდაჭერა გამოუცხადეს ასევე აშშ-ის ელჩმა კელი დეგნანმა და ევროკავშირის ელჩმა კარლ ჰარცელმა.²⁰⁷ ამ უკანასკნელის თქმით, სახალხო დამცველის აპარატი თავდასხმების სამიზნე იმიტომ გახდა, რომ მიხეილ სააკაშვილის უფლებების დაცვას ცდილობდა.²⁰⁸

20 ნოემბერს თორმეტმა არასამთავრობო ორგანიზაციამ²⁰⁹ შეშფოთება გამოხატა ხელისუფლების მიერ სახალხო დამცველის წინააღმდეგ გახშირებული თავდასხმების გამო.²¹⁰ მათ ხაზი გაუსვეს სახალხო დამცველის მიუკერძოებლობას, იმავდროულად, მმართველ პარტიას მასზე თავდასხმების შეწყვეტისა და მისი, როგორც კონსტიტუციური ორგანოს, შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველყოფისკენ მოუწოდეს.²¹¹

მმართველმა პარტიამ, საქართველოს სახალხო დამცველის გარდა, მისი უკრაინელი კოლეგაც გააკრიტიკა განცხადებისთვის, რომელშიც მან მიუთითა, რომ ხელისუფლებამ სააკაშვილის მიმართ ადამიანის უფლებათა ევროპული და გაეროს წამების წინააღმდეგ კონვენციებით დაცული

²⁰¹ „კობახიძე: სახალხო დამცველი ნაციონალური მოძრაობის დღის წესრიგს მიჰყვება“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 9 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/453972>, განახლებულია: 16.12.2021.

²⁰² იქვე.

²⁰³ იქვე.

²⁰⁴ „კელი დეგნანი - სახალხო დამცველის ინსტიტუტი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტიტუტია, ის დაკომპლექტებულია პროფესიონალი ადამიანებით და, კრიტიკის ნაცვლად, ქებას იმსახურებს“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 9 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3228sc8>, განახლებულია: 16.12.2021.

²⁰⁵ „Joint statement on the importance of the role of the Public Defender of Georgia“, European Parliament, November 15, 2021, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3ywclwq>, განახლებულია: 16.12.2021.

²⁰⁶ იქვე.

²⁰⁷ „ევროკავშირის და აშშ-ის ელჩები სააკაშვილის ჯანმრთელობის დასაცავად ქმედებისკენ მოუწოდებენ“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 19 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/456691>, განახლებულია: 16.12.2021.

²⁰⁸ იქვე.

²⁰⁹ საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო; სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება; ღია საზოგადოების ფონდი; საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა; ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი; კვლევითი ჟურნალისტიკისა და ეკონომიკური ანალიზის ცენტრი; საფარი; საზოგადოება და ბანკები; მწვანე ალტერნატივა; საქართველოს რეფორმების ასოციაცია; მედიის განვითარების ფონდი; მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის.

²¹⁰ „სახალხო დამცველის წინააღმდეგ მმართველი პარტიის თავდასხმები უკიდურეს შემოფოთებას იწვევს“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 19 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3scAMDl>, განახლებულია: 16.12.2021.

²¹¹ იქვე.

უფლებები დაარღვია.²¹² „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ აღნიშნა, რომ აჯობებდა, უკრაინის სახალხო დამცველს საკუთარი ქვეყნის შიდა საქმეებისთვის დაეთმო ყურადღება.²¹³ პარტიის ერთ-ერთი ლიდერის შალვა პაპუაშვილის თქმით კი, უკრაინის სახალხო დამცველის იურისდიქცია საქართველოს ტერიტორიაზე არ ვრცელდებოდა.²¹⁴

7 ნოემბრის, ტელეკომპანია „იმედში“ შეჭრის და საბიუჯეტო თანხების გაფლანგვის საქმეების სასამართლო განხილვა

10 ნოემბერს საქალაქო სასამართლოში 7 ნოემბრის საქმეზე მოსმენა გაიმართა, სადაც პროკურორმა პროცესებზე ბრალდებულ მიხეილ სააკაშვილის მონაწილეობა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ან დისტანციურად მოითხოვა.²¹⁵ სააკაშვილის ადვოკატების თქმით, ბრალდების მხარის ამგვარი პოზიცია მიუღებელი იყო.²¹⁶ ისინი სხდომებზე ბრალდებულის უშუალო დასწრებას მოითხოვდნენ.²¹⁷ გარდა ამისა, სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა სასამართლოში სააკაშვილის გადაყვანაზე უარი განაცხადა²¹⁸ და განმარტა, რომ მესამე პრეზიდენტის მხარდამჭერების მხრიდან დესტრუქციული ქმედებების რისკი არსებობდა.²¹⁹ ამასთანავე, ეს გადაწყვეტილება მათ მესამე პრეზიდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით მიიღეს.²²⁰

სასამართლო პროცესზე მიხეილ სააკაშვილის მიმართ პატიმრობა, როგორც აღკვეთის ღონისძიება, გაუქმდა და შემდეგი სხდომა 29 ნოემბერს დაინიშნა.²²¹ სააკაშვილის ადვოკატის აზრით, ნოემბრის ბოლოს მესამე პრეზიდენტის მდგომარეობა, შესაძლოა, უკიდურესად მძიმე ყოფილიყო.²²² პროკურორის განმარტებით, სააკაშვილის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გაუქმება მოცემულობას არ ცვლიდა, ვინაიდან ის მსჯავრდებული იყო გირგვლიანის და გელაშვილის საქმეებზე.²²³

14 და 15 ნოემბერს სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა მიხეილ სააკაშვილს, მისი მომხრეების მხრიდან პროვოკაციისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის მიზეზით, შესაძლებლობა არ მისცა, დასწრებოდა საბიუჯეტო თანხების გაფლანგვისა და საზღვრის უკანონო კვეთის²²⁴ საქმეების სასამართლო განხილვას.²²⁵ ადვოკატ ბექა ბასილიას განცხადებით, ხელისუფლებამ

²¹² „ქართული ოცნების დეპუტატები უკრაინის სახალხო დამცველს აკრიტიკებენ“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 16 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/455684>, განახლებულია: 16.12.2021.

²¹³ იქვე.

²¹⁴ იქვე.

²¹⁵ „პროკურორმა შუამდგომლობა დააყენა, რომ მიხეილ სააკაშვილის სასამართლო პროცესებში ჩართვა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ან დისტანციურად მოხდეს“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 10 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3e13Oxk>, განახლებულია: 16.12.2021.

²¹⁶ იქვე.

²¹⁷ იქვე.

²¹⁸ სპეციალური პენიტენციური სამსახურის Facebook-გვერდი, 2021 წლის 10 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3F2p0Pq>, განახლებულია: 16.12.2021.

²¹⁹ იქვე.

²²⁰ სპეციალური პენიტენციური სამსახურის Facebook-გვერდი, 2021 წლის 10 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3F2p0Pq>, განახლებულია: 16.12.2021.

²²¹ „7 ნოემბრის საქმეზე მიხეილ სააკაშვილისთვის შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება, პატიმრობა, გაუქმდა“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 10 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3E0fjQ7>, განახლებულია: 16.12.2021; „7 ნოემბრის საქმეზე მომდევნო სასამართლო პროცესი 29 ნოემბერს ჩაინიშნა“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 10 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3ywhSs4>, განახლებულია: 16.12.2021.

²²² იქვე.

²²³ „პროკურორი - მიხეილ სააკაშვილის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გაუქმება არ ცვლის ფაქტობრივ მოცემულობას, ვინაიდან იგი მსჯავრდებულია გირგვლიანის და გელაშვილის საქმეებზე“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 10 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3ywiSMQ>, განახლებულია: 16.12.2021.

²²⁴ „მიხეილ სააკაშვილს სასამართლო პროცესზე დასწრების უფლება კვლავ არ მისცეს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 15 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/455134>, განახლებულია: 16.12.2021.

²²⁵ სპეციალური პენიტენციური სამსახურის ოფიციალური Facebook-გვერდი, 2021 წლის 10 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/31X7a2f>, განახლებულია: 16.12.2021.

სააკაშვილს დაცვის უფლება წაართვა.²²⁶

16 ნოემბერს სახალხო დამცველმა პენიტენციურ სამსახურს მოუწოდა, მიხეილ სააკაშვილისთვის საკუთარ სასამართლო პროცესებზე დასწრების შესაძლებლობა მიეცა.²²⁷ ომბუდსმენის თქმით, სახელმწიფო ორგანოები თავიანთი ქმედებებით უხეშად არღვევდნენ ევროპული კონვენციითა და საქართველოს კონსტიტუციით დაცულ სამართლიანი სასამართლოს უფლებას.²²⁸

18 ნოემბერს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსპიკერმა ნედ პრაისმა ხელისუფლებას სააკაშვილის მიმართ სამართლიანად და ღირსეულად მოპყრობისკენ მოუწოდა.²²⁹ მან აგრეთვე ხაზი გაუსვა პატიმრის სამართლიანი სასამართლოს უფლებას და აღნიშნა, რომ მას უნდა ჰქონოდა საკუთარ სასამართლო განხილვებზე პირადად დასწრების შესაძლებლობა.²³⁰ სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევასთან დაკავშირებით შეუფოთება გამოხატა 23-მა ევროპარლამენტარმა ერთობლივ განცხადებაში.²³¹ მათ ასევე დაგმეს ხელისუფლების გადანყვეტილება ანა ფოტიგასთან დაკავშირებით, რომელსაც ნება არ დართეს, მესამე პრეზიდენტი მოენახულებინა.²³²

29 ნოემბერს მიხეილ სააკაშვილი 2007 წლის 7 ნოემბრის საპროტესტო აქციის დარბევისა და ტელეკომპანია „იმედში“ შეჭრის საქმეების სასამართლო პროცესზე გადაიყვანეს.²³³ მოსამართლეთა კოლეგიამ ყოფილ პრეზიდენტს პოლიტიკური განცხადებისა და საზოგადოებისთვის მიმართვის უფლება მისცა.²³⁴ სააკაშვილმა აღნიშნა, რომ ის წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლი გახდა რუსთავის ციხიდან გლდანის საავადმყოფოში გადაყვანის დროს.²³⁵ მან ასევე მიმოიხილა ის მიზეზები, რატომაც დაბრუნდა საქართველოში, კერძოდ, ამ ნაბიჯის გადადგმისკენ მისი თანამემამულეები მოუწოდებდნენ.²³⁶ მესამე პრეზიდენტის თქმით, საქართველოში პოლარიზაცია არ არსებობდა, საზოგადოება ორად არ იყო გაყოფილი, არამედ მოსახლეობის უმრავლესობა უფრო ერთიანი იყო, ვიდრე ოდესმე.²³⁷ გარდა ამისა, მან საკუთარ თავს პუტინის პირადი პატიმარი უწოდა.²³⁸

სასამართლოს მიმდებარე ტერიტორიაზე სააკაშვილის მხარდამჭერები შეიკრიბნენ.²³⁹ რამდენიმე ხნის შემდეგ აქციაზე სიტუაცია დაიძაბა. პოლიციამ დემონსტრანტების დასაშოშმინებლად ე.წ. წინაკის სპრეი გამოიყენა.²⁴⁰

მიხეილ სააკაშვილის სასამართლო პროცესზე გადაყვანა დადებითად შეაფასა აშშ-ის ელჩმა კელი

²²⁶ „მიხეილ სააკაშვილს დაცვის უფლება წაართვეს, ქვეყანაში სასამართლო გაუქმებულია; ჯერ კიდევ შაბათს იცოდნენ, რომ პენიტენციური არ აპირებდა მის გადმოყვანას“, ადვოკატების განცხადება“, მთავარი არხის ოფიციალური Facebook-გვერდი, ხელმისაწვდომია: <https://www.facebook.com/watch/?v=327883258670530>, განახლებულია: 16.12.2021.

²²⁷ „სასამართლო პროცესებზე სააკაშვილის დასწრებაზე მესამე უარის შემდეგ ომბუდსმენი განგაშს ტეხს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 17 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/455832>, განახლებულია: 16.12.2021.

²²⁸ იქვე.

²²⁹ „Treatment of former president of Georgia Mikheil Saakashvili“, US Department of State, November 18, 2021, ხელმისაწვდომია: <https://www.state.gov/treatment-of-former>, განახლებულია: 16.12.2021.

²³⁰ იქვე.

²³¹ Rihon Terras, Twitter post, November 19, 2021, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/30wVkef>, განახლებულია: 16.12.2021.

²³² იქვე.

²³³ „მიხეილ სააკაშვილი სასამართლო პროცესზე გადაიყვანეს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 29 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/458236>, განახლებულია: 16.12.2021.

²³⁴ იქვე.

²³⁵ „ჩემი შეცდომაა ეს სასამართლო“ - სააკაშვილის სიტყვა და მისი შეფასებები“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2021 წლის 29 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3q1yhkC>, განახლებულია: 16.12.2021.

²³⁶ „მიხეილ სააკაშვილის მიმართვა სასამართლო პროცესზე“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 29 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/458326>, განახლებულია: 16.12.2021.

²³⁷ იქვე.

²³⁸ იქვე.

²³⁹ იქვე.

²⁴⁰ იქვე.

დეგანაშა და აღნიშნა, რომ ეს უფლება საქართველოს კონსტიტუციით იყო დაცული.²⁴¹ მანვე იმედი გამოთქვა, რომ მესამე პრეზიდენტის მხარდამჭერები გონივრულად მოიქცეოდნენ და მართლმსაჯულების ადმინისტრირებას არ შეაფერხებდნენ.²⁴²

აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილის თანაშემწის ვიზიტი საქართველოში

4 ნოემბერს საქართველოს ოფიციალური ვიზიტით აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილის თანაშემწე ერიკა ოლსონი ეწვია.²⁴³ ვიზიტის ფარგლებში ის შეხვდა როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის წარმომადგენლებს²⁴⁴ და არასამთავრობო ორგანიზაციებს.²⁴⁵ სამოქალაქო სექტორთან შეხვედრის დროს აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილის თანაშემწემ სხვა საკითხებთან ერთად განიხილა სააკაშვილის გარშემო მიმდინარე მოვლენები.²⁴⁶ ეს შეხვედრა მესამე პრეზიდენტის რუსთავის ციხიდან გლდანის №18 პენიტენციური დაწესებულების საავადმყოფოში იძულებით გადაყვანის მომდევნო დღეს გაიმართა.

²⁴¹ იქვე.

²⁴² იქვე.

²⁴³ „საქართველოს აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილის თანაშემწე ეწვია“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 4 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3p46BvW>, განახლებულია: 16.12.2021.

²⁴⁴ „Shaheen, Johnson, Risch, Cardin Issue Joint Statement on Former President of Georgia Mikheil Saakashvili“, official webpage of Jeanne Shaheen, November 19, 2021, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/32b7CcB>, განახლებულია: 16.12.2021. „საქართველოს აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილის თანაშემწე ეწვია“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 4 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3p46BvW>, განახლებულია: 16.12.2021.

²⁴⁵ „აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილის თანაშემწე არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს ხვდება“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 9 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/328Usgz>, განახლებულია: 16.12.2021.

²⁴⁶ იქვე.